კატარი - აშშ-ს ახალი ფორპოსტი ახლო აღმოსავლეთში

ზვიად ტყაბლაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,
საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
+995 551 01 08 08; tkabladze.zviad@gtu.ge
ORCID: 0009-0009-4347-6299
მაია მანჩხაშვილი
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი,
საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
+995 557 32 32 27; Manchkhashvilimaia07@gtu.ge
ORCID: 0000-0002-4321-977X

აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება ძალიან საინტერესო თემას: „კატარი - აშშ-ს ახალი ფორპოსტი ახლო აღმოსავლეთში“.

აშშ-ს ლიდერმა ჯო ბაიდენმა კატარი, NATO-ს ფარგლებს გარეთ (MNNA ან Non-NATO Ally) ამერიკის მთავარ მოკავშირედ გამოაცხადა, რითაც იგი გახდა მესამე ქვეყანა არაბეთის/სპარსეთის ყურის რეგიონში ქუვეითისა და ბაჰრეინის შემდეგ, რომელ-

მაც მიაღწია ამ სტატუსს და ერთ-ერთი მსოფლიოს 18 ქვეყანას შორის.

MNNA-ს სტატუსი მის მფლობელებს აძლევს მნიშვნელოვან სარგებელსა და უპირატესობებს, მათ შორის პრივილეგირებულ წვდომას აშშ-ს მოწინავე სამხედრო ტექნოლოგიებსა და თავდაცვის აღჭურვილობაზე. მიუხედავად იმისა, რომ კატარს უკვე ჰქონდა მჭიდრო კავშირები ამერიკასთან, ამ ტიტულის მიღება მიუთითებს კატარსა და აშშ-ს შორის ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებისკენ, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან მჭიდრო თანამშრომლობისკენ რეგიონული თუ გლობალური გამოწვევების გადაჭრის საქმეში.

ზოგიერთი პოლიტიკოსი სკეპტიკურად უყურებს კატარისთვის MNNA-ს სტატუსის მინიჭებას, ვინაიდან საამიროს გააჩნია მჭიდრო კავშირები ახლო აღმოსავლეთის არასახელმწიფო აქტორებთან - „ჰამასთან“, „ჰიზბალაჰთან“, „მუსლიმთა საძმოსთან“, ასევე „ტალიბანთან“, რომლებიც კონფლიქტურ ურთიერთობებში არიან აშშ/დასავლეთთან და ისრაელთან. თუმცა, აღნიშნული მდგომარეობა კატარს აძლევს საშუალებას პოზიციონირდეს, როგორც „მუდმივი შუამავალი“ და მომლაპარაკებელი ზემოხსენებულ მხარეებს შორის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში. კატარმა, ასევე, საკვანძო როლი შეასრულა აშშ-ს ჯარების უსაფრთხო ევაკუაციის საქმეში ავღანეთიდან.

ყოველივე ზემოხსენებული ხელს უწყობს კატარის თანამშრომლობის გაღრმავებას აშშ-სთან, ნატო-სთან და სტატუსის მინიჭების შემდეგ ახალ საფეხურზე გადასვლას.

საკვანძო სიტყვები: კატარი, აშშ, ნატო, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი.

შესავალი

მცირე მონარქია კატარი, ამერიკის შეერთებულ შტატებს მნიშვნელოვანი პარტნიორია ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობები დღეისათვის სტაბილურია და ორივე ქვეყანა მჭიდრო კოორდინაციაშია რეგიონული და გლობალური საკითხების ფართო სპექტრზე.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ მცირე სახელმწიფოებსაც შეუძლიათ რეალურად გასცდნენ უბრალო მდგრადობის ჩარჩოებს და გახდნენ გავლენიანები, როგორც რეგიონში, ასევე დიდ გლობალურ არენაზე. როგორც თვლის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორი მეჰრან კამრავა, სწორედ მსგავსი რამ მოხდა კატართან მიმართებაში, რომელიც გახდა მსხვილი მოთამაშე სპარსეთის/არაბეთის ყურეში[15] და ახლო აღმოსავლეთში, მიუხედავად იქ ბევრად უფრო დიდი და გავლენიანი მოთამაშეების ჭარბობისა (Kamrava, 2017).

2022 წლის 31 იანვარს, აშშ-ს პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა[16] არაბული სახელმწიფო კატარი, „NATO-ს ფარგლებს გარეთ“ (MNNA ან Non-NATO Ally) მთავარ მოკავშირედ გამოაცხადა, რითაც იგი გახდა ყურის რეგიონში მნიშვნელოვანი სტატუსი მქონე სახელმწიფო.

MNNA მის მფლობელებს აძლევს მნიშვნელოვან სარგებელსა და უპირატესობას, მათ შორის პრივილეგირებულ წვდომას აშშ-ს მოწინავე სამხედრო ტექნოლოგიებსა და აღჭურვილობაზე. მიუხედავად იმისა, რომ კატარს დიდი ხანია გააჩნია მჭიდრო

---

[15] არაბულ სამყაროში გამოიყენება მხოლოდ ტერმინი **არაბული ყურე** (არაბ.: **الخليج العربي** - ალ-ხალიჯ ალ-არაბია; ინგლ.: Arabian Gulf). საერთაშორისოდ ასევე გამოიყენება ფრაზა ყურე.

[16] **ჯოზეფ (ჯო) რობინეტ ბაიდენი უმცროსი** (ინგლ.: Joseph (Joe) Robinette Biden, Jr; დ. 1942) - ამერიკელი პოლიტიკოსი, დემოკრატიული პარტიის წევრი, აშშ-ს პრეზიდენტი 2021-2024 წლებში. 2009-2017 წლებში იყო აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო 1973–2009 წლებში - აშშ-ის სენატორი დელავერიდან.

კავშირები აშშ-სთან, ამ სტატუსის მიღება მიუთითებს ბიძგზე - ქვეყნებს შორის ორმხრივი უსაფრთხოებისა და სავაჭრო თანამშრომლობის გაღრმავებისკენ.

იგი ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან სიგნალს რეგიონის სხვა აქტორებისთვის, გააძლიერებს დოჰას სამხედრო პოტენციალს და მის სტრატეგიულ მდგომარეობას, რეგიონში აშშ-ს სხვა მოკავშირეებთან მიმართებაში. MNNA-ს სიაში შეყვანა დროული აღმოჩნდა, თუ გავითვალისწინებთ უკრაინის კრიზისის ესკალაციას და ბოლოდროინდელი საუბრებს კატარის პოტენციურ, ევროპისთვის ენერგიის მომავალი მიმწოდებლის როლის შესახებ, რუსულ ენერგო ნაკადებზე შესაძლო უარის ფონზე (Gosselin-Malo, 2022).

როგორც განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა თეთრ სახლში კატარის ამირასთან შეხვედრაზე, „კატარს NATO-ს ფარგლებს გარეთ მთავარი მოკავშირის სტატუსს მივანიჭებ. ეს ჩვენი ურთიერთობის მნიშვნელობას ასახავს. ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება დიდი ხნის წინ უნდა მიგვეღო. NATO-ს მთავარი არაწევრი მოკავშირის დასახელება არის მძლავრი სიმბოლო იმ მჭიდრო ურთიერთობისა, რომელსაც შეერთებული შტატები იზიარებს ამ ქვეყნებთან და გამოხატავს ჩვენს ღრმა პატივისცემას მეგობრობის მიმართ ... 1961 წ. უცხოური დახმარების აქტის 517-ე მუხლის შესაბამისად, შესწორებული (22 U.S.C. 2321k), ვასახელებ კატარს NATO-ში არ შემავალ ძირითად მოკავშირედ“, ნათქვამია მის წერილში კონგრესისადმი.

აშშ-ს ლიდერმა განმარტა, რომ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა „კატარის მრავალწლიანი შეტანილი წვლილის აღიარების გამო, აშშ-ს პასუხისმგებლობის ზონაში, ასევე საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, კატართან ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებაში თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში“ (Hyp, 2022). MNNA-ს სტატუსი ამჟამად ისრაელს,

იაპონიას, სამხრეთ კორეას, ტაივანს, ავსტრალიას, ტაილანდს, ქუვეითს, ეგვიპტეს, იორდანიას, ახალ ზელანდიას, არგენტინას, ბაჰრეინს, ფილიპინებს, მაროკოს, პაკისტანს, ავღანეთს, თუნისსა და ბრაზილიას აქვთ.

მეთოდი

წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება თეორიულ მეთოდოლოგიას: მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ანალიზს, სინთეზს, შედარებას, სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებას და დამუშავებას. შესწავლილ იქნა ამ საკითხზე მომუშავე კომპეტენტური მკვლევრებისა და ექსპერტების პუბლიკაციები და სტატიაში ჩვენთვის საჭირო ძირითადი სამეცნიერო მასალა აისახა.

შედეგი

საკვლევ საკითხზე მუშაობის შედეგად, გამოვლენილ იქნა კატარის აშშ-სთან თანამშრომლობის და ამ მცირე სახელმწიფოსთვის MNNA-ს სტატუსის მინიჭების მნიშვნელობა. სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე სტატიაში გაეცა პასუხი კითხვებს, თუ რატომ მიანიჭა აშშ-ს კატარს ზემოაღნიშნული სტატუსი. ასევე დადგინდა, კატარის განსაკუთრებული როლი ახალი გამოწვევების გამკლავების საქმეში ახლო აღმოსავლეთში, ისრაელი-ჰამასის კონფლიქტის მაგალითზე.

დისკუსია

კატარი (ოფიციალურად: **სახელმწიფო კატარი**; ინგლ.: **State of Qatar**; არაბ.: **دولة قطر** - დავლათ კატარ) საუდის არაბეთთან მოსაზღვრე პატარა სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე. ქვეყნის დედაქალაქია **დოჰა**(სწორი ფორმა: ად-დავჰა; არაბ.: **الدوحة**; ინგლ.: Doha).

კატარის ფართობი დაახლოებით 11,586 კვ. კმ., ხოლო ქვეყნის მოსახლეობა, 2024 წლის იანვრის მონაცემებით შეადგენს 3,118,214 ადამიანს (Planning and Statistics Authority, 2024). აქედან

თავად არაბი კატარელები 11,6%-ია, ხოლო 88,4% ჩამოსული ემიგრანტები არიან. ქვეყნის ოფიციალური რელიგიაა ისლამი, რომელსაც აღმსარებლობს მოსახლეობის 65,2%. საამიროში ოფიციალურ ენაა არაბული, ინგლისური კი გამოიყენება, როგორც მეორე ენა.

კატარის მოქალაქეებს მსოფლიოში ყველაზე მაღალი შემოსავალი აქვთ. კატარის მშპ (GDP) ერთ სულ მოსახლეზე 2022 წელს $ 96,600 შეადგინა (CIA, 2025).

ქვეყანას გააჩნია ბუნებრივი აირის სიდიდით მესამე დადასტურებული მარაგი მსოფლიოში და თხევადი ბუნებრივი აირის (Liquefied natural gas, LNG) ექსპორტიორ ქვეყნებს შორის 6-ე ადგილზეა, ასევე ნავთობის და ნავთობპროდუქტების მსხვილი ექსპორტიორია (Blanchard Christopher, 2014).

სახელმწიფოს მმართველობის ფორმაა აბსოლუტური მონარქია, სადაც ხელისუფლება მემკვიდრეობით გადაეცემა **ალ სანის** (არაბ.: آل ثاني; ინგლ.: House of Thani) დინასტიის შეიხების, ამირების შორის, რომლებიც მართავენ საამიროს 1825 წლიდან.

კატარი დიდი ბრიტანეთის მარგალიტის მომპოვებელი ღარიბი პროტექტორატიდან გადაიქცა უმდიდრეს სახელმწიფოდ, გაზისა და ნავთობის მოპოვებით მნიშვნელოვანი შემოსავლების მეშვეობით. ქვეყანა 1916-1971 წლებში დიდი ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა, დამოუკიდებლობა კი 1971 წლის 3 სექტემბერს მოიპოვა.

შეიხმა ხალიფა ბინ ჰამად ალ სანიმ (Sheikh Khalifa bin Hamad Al Thani; 1972-1995 წწ.) - ტახტის მემკვიდრემ და პრემიერ-მინისტრმა, შეწყვიტა 1916 წლის ხელშეკრულების მოქმედება და გამოაცხადა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, რაც ქვეყნის ისტორიაში ახალი ეტაპის მაუწყებელი გახდა (Amiri Diwan, 2024).

შეიხ ჰამად ბინ ხალიფამ (Hamad bin Khalifa bin Hamad bin Abdullah bin Jassim bin Mohammed Al Thani; დ. 1952) აამაღლა პატარა, ენერგომატარებლებით მდიდარი ქვეყნის გლობალური გავლენა მას შემდეგ, რაც 1995 წ. სასახლის გადატრიალების შედეგად შეცვალა მისი მამა. 1990-იანი წლების პერიოდიდან კატარის ლიდერები ანიჭებდნენ დიდ ყურადღებას ეკონომიკურ ზრდას, დიპლომატიურ ჩართულობასა და შეზღუდული პოლიტიკური ლიბერალიზაციის კურსს.

კატარის ამჟამინდელმა ამირამ, **შეიხ თამიმ ბინ ჰამად ბინ ხალიფა ალ სანიმ** (Sheikh Tamim bin Hamad Al Thani; დ. 1980) თავისი მმართველობა დაიწყო 2013 წლის ივნისში, როდესაც მისი მამა, **შეიხ ჰამად ბინ ხალიფა** ტახტიდან გადადგა, რაც კატარში დამოუკიდებლობის შემდეგ ძალაუფლების პირველ ნებაყოფლობით და დაგეგმილ გადაცემას ნიშნავდა.

1995 წელს მონარქიამ დააარსა „ალ-ჯაზირა“,[17] პირველი არაბულენოვანი სატელიტური სატელევიზიო ქსელი, რომელიც დროთა განმავლობაში ისეთივე გავლენიანი და ზოგჯერ წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა, როგორც მისი დამფუძნებლების პოლიტიკა, განსაკუთრებით „არაბული გაზაფხულის“[18] პერიოდში არეულობების დროს.

---

[17] **ალ-ჯაზირა** (ინგლ.:Al-Jazeera; არაბ.: **الجزيرة**) საერთაშორისო ტელეკომპანია (შტაბ-ბინა დოჰაში) - მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი, მას შემდეგ რაც აშუქებდა ავღანეთზე კოალიციის ჯარების ავია და სარაკეტო დარტყმებს და ახორციელებდა N 1 ტერორისტის უსამა ბინ ლადინის განცხადებების ტრანსლაციას ტელეეთერში. „ალ-ჯაზირა“ არაბულად ნიშნავს „კუნძულს“ და იგულისხმება არაბეთის ნახევარკუნძულის „ალ-ჯაზირა ალ-არაბიის“ სრული სახელწოდების მოკლე დასახელება.

[18] **არაბული გაზაფხული** (არაბ.: **الربيع العربي**; ინგლ.: The Arab Spring) - პროტესტების და აჯანყებების ტალღა, რომელიც მიმდინარეობდა არაბულ სამყაროში 2011 წ. დასაწყისიდან. რევოლუციები მოხდა თუნისში, ეგვიპტეში, იემენში, ლიბიაში, სირიაში, ბაჰრეინში, ალჟირში, ერაყში, იორდანიაში, მაროკოში, ომანში, ქუვეითში, ლიბანში, მავრიტანიაში, საუდის არაბეთში, სუდანში, ჯიბუტიში და დასავლეთ საჰარაში, იყო შეტაკებები ისრაელის საზღვართან. ყველაფერი დაიწყო 2011 წ. 4 იანვარს, თუნისელი ხილით მოვაჭრე მუჰამად ბუაზიზის თვითმკვლელობით (თავი დაიწვა),

აშშ-სა და კატარს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1972 წელს დამყარდა. ორმხრივი ურთიერთობები ეტაპობრივად ვითარდებოდა და 1990-იანების შუა პერიოდიდან აშშ-ს პარტნიორი სახელმწიფო გახდა. ხოლო ბოლო წლებში, „კატარმა შეასრულა კონსტრუქციული და მნიშვნელოვანი ფინანსური, პოლიტიკური და სამხედრო როლი რეგიონული უთანხმოებების დარეგულირებაში და აშშ-სთან პარტნიორობით ხელს უწყობს პროგრესს და სტაბილურობას რეგიონში“ - ასე წერია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (U.S. Department of State, 2025). ისინი ასევე თანამშრომლობენ უსაფრთხოების სფეროში ყურის რეგიონში, კერძოდ ახლო აღმოსავლეთში ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ალ-უდაიდის სახ. სამხედრო საჰაერო ძალების ბაზის მეშვეობით, კატარის მხრიდან NATO-სა და აშშ-ს სამხედრო ოპერაციების მხარდაჭერით[19].

საინტერესოა, რომ ალ-უდაიდის ბაზის გაფართოებისათვის აშშ-მ $ 8 მლრდ. მეტი ინვესტიცია განახორციელა. ბაზაზე ნაწილობრივ განთავსებულია აშშ-ს ცენტრალური სარდლობის (CENTCOM) შტაბი, აშშ-ს სამხედრო საჰაერო ძალების ცენტრალური სარდლობა (US Air Forces Central Command), გაერთიანებული უწყებათაშორისი ოპერატიული დაჯგუფება-სირია (Combined Joint Interagency Task Force-Syria) და აშშ-ის საჰაერო ძალების 379-ე საჰაერო საექსპედიციო ფრთის შტაბი (379th Air Expe ditionary Wing of the US Air Force). ბაზაზე დისლოცირებულია 13000-ზე მეტი ამერიკელი სამხედრო და 100-ზე მეტი თვითმფრინავი ასრულებს საბრძოლო ამოცანებს ამ ობიექტ-

---

პოლიციის კორუფციის და სასტიკი მოპყრობის გამო, რამაც დასაბამი მისცა რევოლუციის დაწყებას თუნისში

[19] **ალ-უდაიდის საჰაერო სამხედრო ბაზა** (ინგლ.: Al Udeid Air Base) - ერთ-ერთი იმ ორი სამხედრო ბაზიდან განლაგებული დოჰადან სამხრეთ-დასავლეთით, ცნობილი ასევე როგორც აბუ-ნახლას აეროპორტი, სადაც განლაგებულია კატარის და აშშ-ს სამხედრო საჰაერო ძალები.

იდან, რომელიც სასტარტო მოედანია ოპერაციისათვის „ისლ-ამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ[20]. კატარი უკვე რამდენიმე წელია წარმოადგენს მნიშვნელოვან პლაცდარმს ერაყსა და სირ-იაში „დაიშის“ წინააღმდეგ კოალიციური ძალების სამხედრო ოპერაციების შესრულებაში.

გარდა ამისა, კატარი აფართოებს თავისი არმიის გაწვრთ-ნის შესაძლებლობას აშშ-ს დახმარებით და ყიდულობს მისგან იარაღს. 2014 წ. კატარმა ხელი მოაწერა აშშ-სთან $ 11 მლრდ. კონტრაქტს Apache-ის დამრტყმელი შვეულმფრენების და სხვა საჰაერო თავდაცვის სისტემების შესყიდვაზე. მოგვიანებით, 2016 წელს, ვაშინგტონმა 72 ცალი F-15QA მოიერიშე თვითმ-ფრინავები მიყიდა სპარსეთის ყურის პარტნიორს $ 21,1 მლრდ. (Gosselin-Malo, 2022).

ათასობით კატარელი სტუდენტი სწავლობს აშშ-ს უმა-ღლეს სასწავლებლებში და ამერიკის ექვს უმსხვილეს უნივე-რსიტეტს გააჩნია ფილიალები ქვეყანაში.

---

[20] **ისლამური სახელმწიფო** (არაბ: **الدولة الإسلامية** – ად-დავლათუ ალ-ისლამია; ინგლ.: Islamic State (IS); იგივე ISIL ან ISIS; არაბ. აკრონიმი დაიშ (**داعش** /Da'ish) - მსოფლიოს N 1 სალაფიტურ-ჯიჰადისტური, ფუნდამენტალისტურ- ისლამისტური ტერორისტ-ული ორგანიზაცია, რომელიც ცნობილი გახდა 2014 წელს, როდესაც დაიპყრო ერაყ-ისა და სირიის მნიშვნელოვანი ტერიტორიები. არსებობდა, როგორც კვაზი-სახელმ-წიფო და გამოცხადდა სახალიფოდ 2014 წ. 29 ივნისს, დედაქალაქით სირიის ქ. არ-რაკაში. 2015 წ. ბოლოს ის მართავდა ტერიტორიას 110 ათ. კვ. კმ. ფართობით და 12 მლნ. მოსახლეობით, სადაც იყენებდა შარიათის კანონების დამახინჯებულ ინტ-ერპრეტაციას, წლიური ბიუჯეტით $ 1 მლრდ. მეტი. „დაიშის“ ტერორისტთა რაო-დენობა 50000-მდე მერყეობდა. „დაიში“ საბოლოოდ განადგურდა 2019 წ. დასაწყისში სირიაში, რომლის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდა საერთაშორისო კოალიცია აშშ-ის მეთაურობით (Global Coalition against Daesh), თუმცა ის დღესაც ქმნის საფრთხეს. „დაიშის“ მეხუთე და ამჟამინდელ ლიდერად ითვლება აბუ ჰაფს ალ-ჰაშიმი ალ-კურაიში (Abu Hafs al-Hashimi al-Qurashi) - 2023 წ. 3 აგვისტოს ხალიფად დასახელდა.

კატარი მნიშვნელოვნად იყო ჩართული სუდანში დარფურის კონფლიქტის მოგვარებაში, ასევე სომალიში, ჰუსითებსა[21] და იემენის მთავრობას შორის, აფრიკის რქაში და ლიბიაში კონფლიქტების დარეგულირებაში. ერაყში კონტაქტზეა ყველა ფრაქციისა და ძალისგან (Al-Tamimi, 2023). კატარი გახდა მთავარი პლატფორმა სირიაში ასადის საწინააღმდეგო ძალების კომუნიკაციის, ძალისხმევის კოორდინაციისთვის (Фроловский, 2017).

მყარი ორმხრივი ურთიერთობების დემონსტრირება იყო 2021 წლის, კატარი-აშშ-ს კულტურის წლად გამოცხადება (Qatar-USA 2021 Year of Culture).

ქვეყნებს შორის ფართო ეკონომიკური კავშირებია. აშშ უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტორია კატარის, ხოლო დოჰა აშშ-ს სიდიდით მეორე პარტნიორია საზღვარგარეთის სამხედრო გაყიდვებით (FMS) მსოფლიოში. ქვეყანაში 120-ზე მეტი ამერიკული კომპანია მუშაობს. ბოლო წლებში აშშ-ის ექსპორტი კატარში $ 6,5 მლრდ. შეადგინა.

შტატები კატარის ნავთობისა და გაზის ინდუსტრიის წამყვანი პარტნიორია და აღჭურვილობის მიმწოდებელი, ამერიკულმა კომპანიებმა დიდი როლი ითამაშეს ამ ქვეყნის ენერგომატარებლების სფეროს განვითარებაში. ენერგეტიკის გარდა, ამერიკული კომპანიები აწვდიან კატარს თავდაცვის, ავიაციის, ჯანდაცვის, საინჟინრო/სამშენებლო, კვების და სხვა სფეროებში საჭირო აღჭურვილობას. კატარიდან აშშ-ს იმპორტი მოიცავს თხევად ბუნებრივ აირს, ალუმინს, სასუქებს და გოგირდს.

ქვეყნებმა ასევე ხელი მოაწერეს ჩარჩო შეთანხმებას ვაჭრობისა და ინვესტიციების შესახებ და ქვეყნები მონაწილეობენ

---

[21] **ჰუსითები** (არაბ.: **الحوثيون** – ალ-ჰუსიუნ; ინგლ.: Houthis ან Houthi movement; ოფიც. არაბ.: **أنصار الله** – ანსარ ალ-ლაჰ; ინგლ.: Ansar Allah) იემენში მოქმედი შიიტი-ზაიდიების გასამხედროებული დაჯგუფება.

ყოველწლიურ ორმხრივ სტრატეგიულ დიალოგებში. კატარმა გამოაცხადა აშშ-ში $ 45 მლრდ. ინვესტიციის განხორციელება, დამატებით სხვა მრავალ მილიარდიანი ღირებულების კონტრაქტებისა (U.S. Department of State, 2025).

პრეზიდენტმა ბაიდენმა კატარის MNNA-ს სიაში შეყვანის საკვანძო მიზეზად დაასახელა კატარის უწყვეტი დახმარება აშშ-ის ჯარების ევაკუაციის საქმეში ავღანეთიდან და ღაზას სექტორში ისრაელსა და „ჰამასს“ შორის კონფლიქტის დროს. ორივე ვითარებაში დოჰა იყო დამაკავშირებელი რგოლი და შუამავალი აშშ, „ტალიბანსა“ და „ჰამასს“ შორის.

სწორედ აშშ-ის ჯარების გაყვანის დროს ავღანეთიდან 2021 წელს, კატარის როლი საერთაშორისო დონეზე განსაკუთრებით იქნა აღიარებული. ავღანეთის კრიზისმა „კატარს საშუალება მისცა გაეძლიერებინა თავისი პოზიცია საერთაშორისო საზოგადოებაში შუამავლის როლის შესრულებით დასავლეთსა და ტალიბანს[22] შორის. კატარის წვდომამ და კავშირებმა როგორც ვაშინგტონთან, ისე ტალიბანთან, ასევე ნეიტრალური შუამავლის

---

[22] **მოძრაობა ტალიბანი** (პაშთუ.: **طالبان**; ინგლ.: Taliban; სტუდენტები, მოსწავლეები) - ისლამისტური, რელიგიურ-პოლიტიკური გასამხედროებული მოძრაობა, რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და გაეროს მიერ (2003 წლიდან) ითვლება ტერორისტულ ორგანიზაციად. შეიქმნა 1994 წ. ავღანეთში პაშთუნების მიერ, რომლებიც მართავდნენ ავღანეთს 1996-2001 წლებში და პაკისტანის ჩრდილოეთით ვაზირისტანის რეგიონს 2004 წლიდან.

2021 წელს, აშშ-ს მიერ ავღანეთიდან ჯარების გაყვანის შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით, ტალიბებმა შეტევა წამოიწყეს და აგვისტოსთვის დაამყარეს კონტროლი ქვეყნის უმეტეს ნაწილზე, 15 აგვისტოს კი დაიკავეს დედაქალაქი ქაბული და გამოაცხადეს „ავღანეთის ისლამური საამიროს“ (Islamic Emirate of Afghanistan) შექმნა.

2016 წლის 25 მაისიდან ტალიბანის ამჟამინდელი ლიდერია, რელიგიური მოღვაწე, დეობანდი (სუნიტური მოძრაობა ინდოეთიდან) ღვთისმეტყველი, ავღანეთის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, მავლავი ჰაიბათულაჰ ახუნზადა (Mawlawi Haibatullah Akhunzada; დაბ. 1961). 2021 წ. 15 აგვისტოდან კი ავღანეთის ისლამური საამიროს დე-ფაქტო ამირა.

რეპუტაციამ განსაკუთრებული როლი ითამაშა მის მნიშვნელოვან მოთამაშედ გადაქცევაში“ (Al-Tamimi, 2023). კატარმა გადაარჩინა ავღანეთში დარჩენილი აშშ-ს მოქალაქეები და ის ავღანელი ლტოლვილები, ვინც გაურბოდა შემოსული „ტალიბანის“ რეჟიმს, როცა თვითმფრინავებით მოახდინა მათი ოპერატიული გადაყვანა და გახდა დროებითი მასპინძელი ქვეყანა, სანამ ამერიკა უფორმებდა ვიზებს ავღანელებს.

რაც შეეხება რუსეთ-უკრაინის ომს, რუსეთის თავდასხმის შემდეგ უკრაინაზე, კატარი მნიშვნელოვანი შუამავლის როლს ასრულებს უკანონოდ დეპორტირებულ და იძულებით გადაადგილებული უკრაინელი ბავშვების დაბრუნებაში სამშობლოში. ასეთი ჰუმანიტარული მისიის შესრულება, ხელს უწყობს კატარს შეაღწიოს დიდ პოლიტიკაში და აამაღლოს თავისი იმიჯი.

როგორც თვლის უკრაინელი ექსპერტი რეიტეროვიჩი კატარელები რუსეთ-უკრაინის ომს გვერდს ვერ აუვლიდნენ, რადგან ეს მათთვის ძალიან კარგი შესაძლებლობაა, მათ შორის აშშ-სთან კონტაქტების საშუალებით, შესთავაზონ თავიანთი მედიაცია დაპირისპირებულ მხარეებს. გარდა ამისა, კატარს რუსები უკეთ აღიქვამენ, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანას, რომელმაც შუამავლობა შესთავაზა, რადგან ის თანაბარ დისტანციაზეა და ღიად პროუკრაინული ან პროდასავლური არაა. ამიტომ საამირო, როგორც შუამავალი, საკმაოდ მისაღებია ყველა მხარისთვის (Рейтерович, 2023).

აშშ-ს სამთავრობო მოხელეებმა განაცხადეს, რომ MNNA-ს სტატუსი ენერგეტიკულ საკითხებთან დაკავშირებული არაა, თუმცა, მოსალოდნელ დაძაბულობამდე რუსეთთან და ენერგე-

ტიკული კრიზისამდე, კატარისთვის ამ სტატუსის მინიჭების თაობაზე საგუბრები უკვე 2020 წელს დაიწყო[23].

მართალია MNNA არ ითვალისწინებს NATO-ს მსგავსი პირდაპირი უსაფრთხოების და თავდაცვის გარანტიებს, მაგრამ ის კვლავ მძლავრი სიმბოლოა ქვეყნის სიახლოვის აშშ-სთან.

როგორც MNNA-ს ქვეყანას, კატარს ახლა აქვს უფლება განათავსოს ამერიკის მოწინავე სამხედრო აღჭურვილობა მის ტერიტორიაზე და აშშ-ს სამხედრო ობიექტების გარეთ; მიიღოს $ 3 მლნ. ანტიტერორისტული კვლევისთვის, ფოკუსირებული თვალთვალის ტექნოლოგიაზე; შეიძინოს გაღარიბებული ურანის საბრძოლო მასალები (გამოიყენება ჯავშნისა და ტანკსაწინააღმდეგო იარაღის შესაქმნელად); შეუძლია აიღოს კრედიტით ამერიკული კომპანიებისგან მასალები ერთობლივი დამუშავებისათვის; გარდა ამისა, კატარი მიიღებს შეღავათიან წვდომას სამხედრო და კომერციულ კოსმოსურ ტექნოლოგიებზე, რაც შექმნის მრავალმილიონიანი ბიზნეს შესაძლებლობას კატარის თავდაცვის კომპანიებისთვის აშშ-ს იარაღის პლატფორმების ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტისათვის.

როგორც თვლის იტალიის ISPI-ს ინსტიტუტის მკვლევარი ელიზაბეტ გოსელინ-მალო ბაიდენის გადაწყვეტილება კატარის ჩართვის შესახებ ამ პროგრამაში აშკარად გამოწვეული იყო სტრ-

---

[23] რუსეთის ნავთობის და გაზის სექტორზე სანქციების საკითი განიხილებოდა დასავლეთის ქვეყნების მიერ, მას შემდეგ რაც რუსეთმა აღიარა უკრაინაში ე. წ. ДНР-ის და ЛНР-ის ანკლავების დამოუკიდებლობა. რუსეთის მიერ უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ კი დასავლეთმა უკვე მკაფიოდ გადაწყვიტა ბუნებრივი აირის მიწოდების ალტერნატიული გზების მოძებნა, სადაც ერთ-ერთ კანდიდატად კატარი დასახელდა, როგორც თხევადი აირის დიდი მარაგის მქონე ქვეყანა. აღნიშნული ასევე დაეხმარება რუსეთის წინააღმდეგ მკაცრი სანქციების აღსრულებაში, ამავე დროს თავიდან აცილებული იქნებოდა ენერგეტიკული კრიზისის საფრთხე, რადგან ევროპის გაზის 40% რუსული წარმოშობისაა. თუმცა კატარის მხარე აცხადებს, რომ ამჟამად მას არ შეუძლია შეავსოს იმ გაზის მოცულობა, რასაც რუსეთი აწვდის ევროპულ ქვეყნებს.

ატეგიული მოსაზრებებით. კატარს უკვე გააჩნდა შედარებით თავისუფალი საშუალება იარაღის მიღების და სამხედრო თანამშრომლობა აშშ-სთან და, როგორც ასეთი, სულაც არ სჭირდებოდა ეს განსხვავებული სტატუსი, თუ გათვალისწინებით იმ უპირატესობებს, რომლითაც უკვე სარგებლობდა. ამრიგად, ექსპერტის აზრით მისი MNNA-ში შეყვანა სავარაუდოდ ნიშნავდა ვაშინგტონის მიერ ყურის საკვანძო პარტნიორთან მისი საერთო კავშირების შემდგომ კონსოლიდაციას, რათა მეტი სტაბილურობა მოვიდეს რეგიონში. დოჰასთვისაც ამ გადაწყვეტილებას დადებითი შედეგები აქვს, შიდა თავდაცვის ინდუსტრიული ბაზისა და ეროვნული უსაფრთხოების შესაძლებლობების გასაზრდელად, ასევე მანამდე დახურულ თავდაცვის ბაზარზე წვდომის უზრუნველსაყოფად (Gosselin-Malo, 2022). ეს ნაბიჯი შეიძლება დაეხმაროს დოჰას აშშ-დან უპილოტო საფრენი აპარატების (Unmanned Aerial Combat Vehicle, UACV) შესყიდვის უზრუნველყოფის მცდელობებში.

კატარის მთავრობა რამდენიმე წელია ელოდება აშშ-ს პასუხს მოთხოვნაზე შეიძინოს ოთხი MQ-9B Predator-ის დრონი $ 600 მლნ., ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდის მიზნით. გაყიდვას გარკვეული წინააღმდეგობა შეხვდა ვაშინგტონში, სადაც არსებობს შეშფოთება, რომ მან შეიძლება შეცვალოს ძალთა ბალანსი სხვა რეგიონულ მოკავშირეებთან, როგორიცაა არაბთა გაერთიანებული საამიროები და საუდის არაბეთის სამეფო (Хаджич, 2022).

ამერიკისთვის ასევე სასარგებლო იქნება ადგილობრივი კატარული კომპანიების მონაწილოება თავდაცვის კონტრაქტებში, რაც ფასებს უფრო კონკურენტუნარიანს გახდის და საბოლოოდ ვაშინგტონს ნაკლები ხარჯი ექნება. MNNA მისცემს აშშ-ს მეტ გარანტიას, რომ კატარი, როგორც მსოფლიოში LNG-ს მოწი-

ნავე ექსპორტიორი, შესაძლოა გახდეს ენერგიის მიმწოდებელი დასავლეთისთვის.

„დოჰას ძირითად მოკავშირედ დანიშვნით, რომლებიც არ შედიან NATO-ში, ბაიდენმა აამაღლა კატარის მნიშვნელობა, როგორც სტრატეგიული პარტნიორის და საფუძველი ჩაუყარა მრავალწლიან პროცესს ორმხრივი ურთიერთობების ...“, ამბობს ახლო აღმოსავლეთის ექსპერტი კრისტიან კოატს ულრიხსენი (Coates Ulrichsen, 2022).

„მთელ სპექტრ საკითხებში კატარელებს სურთ იმის დემონსტრირება, რომ ისინი ისე იქცევიან, რათა გაამყარონ აშშ-ს ინტერესები“, დასძენს ულრიხსენი (Coates Ulrichsen, 2022).

კატარის ლიდერი ვაშინგტონში ჩადის მას შემდეგ, რაც მისი ქვეყნის ავტორიტეტი გაიზარდა ავღანეთში საკვანძო როლის შესრულების შემდეგ. შედეგად ის გახდა აშშ-ს დიპლომატიური წარმომადგენელი ქვეყანაში, რომელსაც მართავს „ტალიბანი“.

თავის სტატიაში, კრემლის ოპოზიციური ისლამური საიტის მიმომხილველი იაკუბ ჰაჯიჩი ამბობს, რომ ახლა პატარა 3 მილიონიანი საამირო არაბეთის ყურეში, რომელიც LNG-ს ერთ-ერთი წამყვანი მწარმოებელია მსოფლიოში, მზად არის კიდევ ერთი როლი შეასრულოს გლობალურ სცენაზე - „გლობალური ენერგომომარაგების სტაბილურობის უზრუნველყოფა“.

თუმცა, ენერგეტიკის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხში, კატარმა გააფრთხილა, რომ ევროპისთვის მიწოდების გაზრდის შესაძლებლობა შეზღუდულია გრძელვადიანი კონტრაქტით, ძირითადად აზიის ქვეყნებთან. „ჩვენ ამოვწურეთ ჩვენი შესაძლებლობები“, თქვა საად შერიდა ალ-ქააბიმ (Saad Sherida Al-Kaabi), ენერგეტიკის სახელმწიფო მინისტრმა, ჯერ კიდევ უკრაინაში რუსეთის აგრესიის დაწყებამდე.

კატარის LNG-ის მთავარი შემსყიდველი არის იაპონია, სამხრეთ კორეა და ინდოეთი - ყველა მათგანი ამერიკის რჩეული

მოკავშირეებია რეგიონში, რომლებმაც გააფორმეს გრძელვადიანი კონტრაქტები გაზის მიწოდებაზე. მაგრამ, ენერგოუსაფრთხოებაზე აქცენტი კატარისთვის სარფიან დროს ხდება, რადგან ის ახორციელებს ჩრდილოეთ საბადოს გაფართოების გეგმებს, მსოფლიოში ყველაზე დიდი თხევადი ბუნებრივი გაზის პროექტს. გაფართოება დაახლოებით $ 30 მლრდ. ღირებულებისაა და მიზნად ისახავს ქვეყნის LNG-ს წარმოების გაზრდას წელიწადში 40%-ით 2026 წლისთვის (Хаджич, 2022).

გამოდის, რომ თუ კატარი მომავალში ამ საბადოს აამუშავებს, მას ექნება შესაძლებლობა ევროპის მოთხოვნების დაკმაყოფილების, თუ ისინი რუსეთს მოშორდებიან. მათ გააჩნიათ ტანკერების ფლოტი, წარმოების ხარჯები დაბალია და ისინი ინვესტიციებს ახორციელებენ სიმძლავრის გასაზრდელად.

ამავდროულად, კატარი-აშშ-ს ურთიერთობების დღის წესრიგი მარტო სამხედრო და ენერგეტიკული სფეროთი არ იწურება. ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ ბაიდენის ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ინტერესი გამოხატა კატართან მიმართებაში, ამ სახელმწიფოს თბილი ურთიერთობების გამო ირანთან.

კატარი განიხილება, როგორც აშშ-ს პოტენციური პარტნიორი ირანთან ურთიერთობაში, სადაც აშშ და ევროპული აქტორები აწარმოებენ მოლაპარაკებებს, რომ ირანი დაუბრუნდეს 2015 წლის ბირთვული შეთანხმებას (JCPOA)[24]. ასეთი ლოგიკით, ბაიდენის ადმინისტრაცია მიიჩნევდა, რომ კატარის მეშვეობით

[24] **ერთობლივი ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა** (ინგლ.: Joint Comprehensive Plan of Action, JCPOA) - ასევე ცნობილი როგორც ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშრიებული შეთანხმება - არის პოლიტიკური შეთანხმება ირანსა და 5+1-ის სახელით ცნობილ ქვეყნების ჯგუფს შორის. ჯგუფი შედგება შეერთებული შტატების, ჩინეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და რუსეთისგან - გაეროს უშიშროების საბჭოს (UNSC) ხუთი მუდმივი წევრისგან და გერმანიისგან. 2018 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გამოაცხადა შეერთებული შტატების გასვლის შესახებ შეთანხმებიდან და გამოაცხადა დამატებითი სანქციები ირანის წინააღმდეგ. საპასუხოდ, ირანმა 2019 წელს შეაჩერა შეთანხმების ორი პუნქტის შესრულება.

შესაძლებელი იქნებოდა ირანთან მიმართებაში თავისი პოზიციის გაუმჯობესება, ხელს შეუწყობდა თანამშრომლობას JCP OA-ს მოლაპარაკებებში და ურთიერთობების გაუმჯობესება ისლამურ რესპუბლიკასთან.

მეორეს მხრივ, გადაჭარბებულ შეფასებად შეიძლება ჩაითვალოს კატარის გავლენა ირანზე; დოჰასა და თეირანს საკუთარი უთანხმოებები აქვთ და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ირანი შეწყვეტს აშშ-ს მიმართ ანტაგონიზმს მარტო საერთო მოკავშირის გამო (Theros, 2025).

ქაბულსა და თეირანში დოჰამ შეინარჩუნა თავისი გავლენა და თავისუფლად შეუძლია დიალოგში ჩაერთოს ყველაზე რთულ და მგრძნობიარე საკითხებზე, რასაც შტატები მოკლებულია - და ძალიან სჭირდებათ კონფიდენციალური მესიჯების გაგზავნის არხი. კატარი კი მზად არის ის შექმნას და მხარი დაუჭიროს მას რეგულარულ საფუძველზე.

დრო იცვლება. ყურის რეგიონში ერთ დროს ტრადიციული მოკავშირეები - საუდის არაბეთი და საამიროები ჩაანაცვლა კატარმა და აღმოჩნდა პირველი სახელმწიფო, რომლის ლიდერი მოიპატიჟეს თეთრ სახლში აშშ-ს სტრატეგიული ინტერესების განსახილველად.

კატარის ავტორიტეტის ზრდას მეორე მხარეც გააჩნია. როგორ იმოქმედებს ეს გადაწყვეტილება აშშ-ს ურთიერთობებზე ზემოხსენებულ მოთამაშეებთან, არაბთა გაერთიანებული საამიროებთან და საუდის არაბეთთან, რომელიც ახლოს იყო MNNA-ს სტატუსის მიღებასთან, მაგრამ ვერა და ვერ მიიღო (Gosselin-Malo, 2022).

„რამდენად მშვიდად შეხვდებიან ამ ამბავს ეს ქვეყნები? თუმცა არჩევანი არც ისე დიდი აქვთ. დოჰაზე ზეწოლა უკვე ერთხელ სცადეს და არაფერი გამოვიდა. ალბათ ახალი გლობალური პარტნიორის მოძებნა მოუწევთ, მაგალითად ჩინეთის.

მაგრამ როგორ მოხდება ეს რეალობაში - არავინ იცის“, ამბობს მიმომხილველი იქრამ ნური (Hyp, 2022).

ტრამპის ვაშინგტონში დაბრუნებამდე, პანარაბული მედია აღნიშნავდა, რომ საუდის არაბეთმა გადაწყვიტა შეუერთდეს რუსეთისა და ჩინეთის ახალ ალიანსს. განხეთქილება ვაშინგტონსა და არ-რიადს შორის გაძლიერდა ბაიდენის პრეზიდენტობის დროს, რომელმაც უარი თქვა სამეფოს ფაქტიურ მმართველ, მემკვიდრე უფლისწულთან თანამშრომლობაზე და დაადანაშაულა იგი ადამიანის უფლებების დარღვევაში (Rai Al Youm, 2022).

ზოგიერთი პოლიტიკოსი კი ამერიკაში, სკეპტიკურად უყურებს კატარისთვის MNNA სტატუსის მინიჭებას და გამოთქვამდნენ შეშფოთებას კატარის კავშირების გამო რადიკალურ, პანისლამისტურ, ხშირ შემთხვევაში ტერორისტულად აღიარებულ ორგანიზაციებთან.

უკვე იყო საუბარი სტატუსის გადახედვის შესახებ 2024 წელს. წარმომადგენელთა პალატიდან რესპუბლიკელმა ენ ვაგნერმა (Ann Wagner), დემიკრატმა ჯარედ გოლდენმა (Jared Golden) და სენატორმა ტედ ბადმა (Ted Budd) მოუწოდეს სახელმწიფო დეპარტამენტს საგულდაგულოდ შეისწავლონ აშშ-კატარის ურთიერთობები, ახორციელებს თუ არა კატარი „ჰამასის“ მხარდაჭერას და წარმოადგინეს კანონი კატარისთვის MNNA სტატუსის მინიჭების გადახედვის შესახებ (The Reviewing Qatar's Major Non-NATO Ally Status Act (H.R. 8190 and S. 4093) (AIPAC Bill Summary, 2024).

მანამდე კონგრესმენმა ქალმა ენ ვაგნერმა განაცხადა, რომ პირადად განუცხადა კატარის პრემიერ-მინისტრს, რომ მათ უნდა შეწყვიტონ ისრაელზე 7 ოქტომბრის სასტიკი ტერაქტის ორგანიზატორების დაცვა. ძალიან დიდხანს მფარველობდა კატ-

არი „ჰამასის“[25] ტერორისტებს, როცა ამ დროს „ჰამასის“ ხელ-ძღვანელობამ არაერთხელ უარყო ისრაელის მცდელობები მიე-ღწია შეთანხმებისთვის და გაეთავისუფლებინა მძევლები ... თუ ისინი ამას არ გააკეთებენ აშშ-მ სერიოზულად უნდა შეისწავ-ლოს იმსახურებს კი კვლავ კატარი ნატოში არშემავალი მსხვ-ილი მოკავშირის სტატუსის პრივილეგიებს“ (Wagner, 2024).

საამირომ დაამყარა პოლიტიკური ალიანსები და მჭიდრო კავშირები ახლო აღმოსავლეთის არასახელმწიფო აქტორებთან, როგორიცაა „ჰამასი“ (მისი ლიდერები კატარში ოფიციალურად ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ), „ჰიზბალაჰი“[26], „მუსლიმთა სამ-

---

[25] **ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა** (არაბ.: **حركة المقاومة الإسلامية** - ჰარაკათ ალ-მუკ-ავამა ალ-ისლამია; ინგლ.: **Islamic Resistance Movement**; არაბ. აკრონიმი **ჰამას** [არაბ.: **حَمَاس**; ინგლ.: Hamas]) - პალესტინური, ისლამისტურ-ფუნდამენტალისტური ორგანი-ზაცია და პოლიტიკური პარტია. „ჰამასი“ აკონტროლებს ღაზას სექტორს პალესტი-ნაში. ორგანიზაციას გააჩნია სამხედრო ფრთა Izz ad-Din al-Qassam Brigades (IQB). „ჰამასის“ პირველი ლიდერი იყო შეიხ აჰმად იასინი (Ahmed Yassin; 1936-2004 წწ.). „ჰამასი“ აღიარებულია ტერორისტულ ორგანიზაციად ისრაელის, კანადის, აშშ-ს, ბრიტანეთის, იაპონიის, ევროკავშირის, OAS-ის და სხვა ქვეყნების მიერ. ამავ-დროულად, არ ითვლება ტერორისტულად ნორვეგიაში, რუსეთში, თურქეთში, ჩინე-თში, კატარში, ინდოეთში, ირანში, OIC-ის ბევრ ქვეყანში. 2024 წლის ბოლოს კატარის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „ჰამასის“ ოფისი აღარ ფუნქციონირებს, თუმცა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის სამუდამოდ არ დახუ-რულა. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურმა პირმა უარყო ინფორმაცია, რომ კატა-რმა ოფიციალურად სთხოვა „ჰამასს“ გასვლა, როგორც ჩანს, სპარსეთის ყურის სახე-ლმწიფო ფრთხილად ეკიდება პოზიციას, რათა თავიდან აიცილოს ნებისმიერი დაძა-ბულობა ახლადარჩეული პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციასთან. იხ. ვრცლად: https://www.bbc.com/news/articles/c86qd99nqgyo

[26] **ჰიზბალაჰი** (არაბ.: **حزب الله** - ალაჰის პარტია; ინგლ.: Party of Allah/Hezbollah) - გასამხედროებული ლიბანური შიიტური ორგანიზაცია და პოლიტიკური პარტია, რომელიც გამოდის ლიბანში ირანის მსგავსი სახელმწიფოს შექმნისთვის. აღიარე-ბულია ტერორისტულად კანადაში, აშშ-ში, ისრაელში, ეგვიპტეში, LAS-ის მიერ 2016 წლიდან, ყურის არაბული მონარქიების მიერ, ნაწილობრივ ევროკავშირში, ავსტრა-ლიაში და ბრიტანეთში. სარგებლობს ირანის და სირიის მხარდაჭერით. მოძრაობის დამაარსებელია ლიბანელი შიიტი კლერიკი სუბჰი ატ-ტუფაილი (Subhi al-Tufayli; დაბ.1948). იგი შეიქმნა 1982 წ. ლიბანის ომის შემდეგ, ლიბანელი სასულიერო პირე-ბის მიერ. Hezbollah-ის პოლიტიკური ფრთა, წარმოდგენილი ლიბანის პარლამენტში.

მო“[27] ეგვიპტეში, თუნისში, ლიბიაში, რომლებსაც აქვთ დაძაბული ან კონფლიქტური ურთიერთობები დასავლეთთან. ამავდროულად კატარი მშვიდობიან ურთიერთობას ინარჩუნებს ზემოთჩამოთვლილი ორგანიზაციების მტერ ისრაელთან, რამაც კატარს მისცა საშუალება პოზიციონირდეს, როგორც „მუდმივი შუამავალი“ და მომლაპარაკებელი კონფლიქტებში(Brannagan, Giulianotti, 2023).

1992 წლიდან, მისი ლიდერია მესამე გენმდივანი ჰასან ნასრალაჰი/ნასრალა (Hassan Nasrallah; დაბ. 1960 წ.).

[27] **ძმები მუსლიმები /მუსლიმთა საძმო** (არაბ.: **الإخوان المسلمون**; ინგლ.: **Muslim Brothers/ Muslim Brotherhood**; სრულად **-„მუსლიმი ძმების საზოგადოება“**; არაბ.: **الاخوان المسلمين جماعة**- ჯამაათ ალ-იხვან ალ-მუსლიმინ; იგლ.: **Society of the Muslim Brothers, MB**; მოიხსენიებენ ხშირად მოკლედ **„იხვანები**“ (არაბ.: ძმები). ძველი, რელიგიურ-პოლიტიკური, პან-ისლამისტური სუნიტური მიმართულების რადიკალური ორგანიზაცია, დაარსებული მასწავლებლის, იმამის და შეიხის ჰასან ალ-ბანას (Hassan al-Banna; 1906-1949 წწ.) მიერ ეგვიპტეში 1928 წ.. MB-ს ბევრი მიმდევარი ჰყავს მსოფლიოში და გავლენით სარგებლობს მუსლიმურ ქვეყნებში. მისი სტატუსი არაერთგვაროვანია - ლეგალურად იმყოფება 17 არაბული ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში და მასთან დაკავშირებულ პარტიებს ადგილები აქვთ პარლამენტში და ამავე დროს ითვლება ერთ-ერთ პირველ ტერორისტულ ორგანიზაციად და აკრძალულია ბევრ ქვეყანაში, პირველ რიგში ეგვიპტეში, სირიაში, ასევე ყურის ქვეყნებში - საუდის არაბეთში, საამიროებში, ბაჰრეინში. 1949 წლიდან მისი იდეოლოგი გახდა ღვთისმეტყველი, პოეტი და მასწავლებელი საიდ კუტბი (Sayyid Qutb, 1906-1966 წწ.), რომელსაც დევნიდნენ ეგვიპტეში და სიკვდილით დასაჯეს კიდეც. ორგანიზაცია გააქტიურდა 2011 წ. „არაბული გაზაფხულის“ პერიოდში, ხოლო 2012 წ. პირველად, ეგვიპტის ისტორიაში დემოკრატიულად ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში, „იხვანების“ გამარჯვებული პარტიის წარმომადგენელი **მუჰამად მურსი** (Mohamed Morsi; 1951-2019 წწ.) ჩამოგდებულ იქნა 2013 წ. 3 ივლისს, სამხედრო გადატრიალების შედეგად ამჟამინდელი პრეზიდენტის აბდ ალ-ფათაჰ ას-სისის (Abdel Fattah Al-Sisi, დაბ. 1954) მიერ, რასაც მოყვა პროტესტების და ძალადობის ტალღა ქვეყანაში. MB-ს მომხრეები თავს ესხმოდნენ კოპტურ ეკლესიებს, სამთავრობო შენობებს და ა.შ. ამის შემდეგ ეგვიპტის სასამართლომ MB გამოაცხადა ტერორისტულ ორგანიზაციად, ხოლო დატყვევებული, ნაწამები, როგორც მისი მრავალი პარტიელი, მურსი სასამართლო სხდომაზე გულის შეტევით გარდაიცვალა.

კატარი აქტიურადაა ჩართული მიმდინარე ისრაელ-„ჰამასის“ კონფლიქტის[28] დარეგულირებაში და შუამავლის როლს ასრულებს მძევლების განთავისუფლების, ცეცხლის შეწყვეტისა და ზავის დადების საქმეში. ისლამისტურ ჯგუფებსა და კატარს შორის ურთიერთობა წარმოადგენს მნიშვნელოვან მიდგომას კატარის „რბილი ძალის“ სტრატეგიის ფარგლებში. არაპირდაპირი პოლიტიკური ალიანსის აგება „ძმები მუსლიმებთან“, ასეთი სტრატეგიის ნათელი მაგალითია. „მუსლიმთა საძმო“ უმსხვილესი ორგანიზაციაა, რომლის პოლიტიკური პარტიები ხშირად დომინირებდნენ არჩევნებში ბევრ არაბულ ქვეყანაში „არაბული გაზაფხულის“ მოვლენების შემდეგ. შესაბამისად, კატარი ცდილობდა მათ მხარდაჭერას და მოკავშირეობას, რეგიონში თავისი ინტერესების ხელშეწყობისთვის. „იხვანებთან“ კავშირმა გამოიწვია კონფლიქტი საუდის არაბეთთან და საამიროებთან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ „იხვანები“ გარდაუვალი საფრთხეა მათი შიდა უსაფრთხოებისა და რეგიონული გავლენისთვის. საუდის არაბეთი და საამიროები არაბული გაზაფხულის შემდეგ ისლამისტური მთავრობების ალყაში მოქცევას ცდილობდნენ.

---

[28] „ჰამასის“ სამხედრო ფრთის - IQB-ის მეთაურმა, მუჰამად დაიფმა (Mohammed Deif/ Diab Ibrahim Masri) ისრაელის წინააღმდეგ ოპერაცია **„ალ-აკსას წარღვნა“** არაბ.: **عملية طوفان الأقصى** - ამალიათ ტუფან ალ-აკსა; ინგლ.: Al-Aqsa Flood ან Deluge) დაწყება გამოაცხადა. „ჰამასმა“ ამ ოპერაციას შურისძიება უწოდა ალ-აკსას მეჩეთის გამო. ოპერაცია დაიწყო 7 ოქტომბრის დილით, ღაზას სექტორიდან ისრაელის დაბომბვით 5 ათასამდე რაკეტით და 2500-ზე მეტი ბოევიკის შეღწევით ხმელეთიდან, ზღვიდან და საჰაერო გზით. დაიღუპა დაახლოებით 1200 ისრაელელი, კიდევ 253 ისრაელელი და უცხოელი მძევლად აიყვანეს; გარდა მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტისა, დაფიქსირდა არაერთი სექსუალური ძალადობის ფაქტი ქალების, მამაკაცების მიმართ. თავდასხმა გახდა ებრაელების უდიდესი ხოცვა-ჟლეტა ჰოლოკოსტის დროიდან და პალესტინური ტერორიზმის უდიდესი აქტი ისტორიაში. საპასუხოდ, ისრაელის მთავრობამ 1973 წ. შემდეგ პირველად გამოაცხადა საომარი მდგომარეობა და ღაზას სექტორში დაიწყო ოპერაცია **„რკინის ხმლები“** (ინგლ.: Operation Swords of Iron/ Haravot Barzel)

მიუხედავად ყოველივე ზემოხსენებულისა, კატარისა თანამშრომლობა ნატო-ს წევრ სახელმწიფოებთან ფართოვდება და ახალ საფეხურზე გადადის სტატუსის მინიჭების შემდეგ. ასე, მიმდინარე წლის აპრილის თვეში კატარში ჩატარდა **ნატოს სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობის კონფერენცი**ა (NATO Military Strategic Partnership Conference 2025), რომელსაც ესწრებოდა 300-ზე მეტი სამხედრო წარმომადგენელი 57 ქვეყნიდან, რაც გახდა მნიშვნელოვანი პლატფორმა პარტნიორობის გამყარების ძალისხმევის და მზარდი პრობლემების გადაწყვეტის გზაზე - იქნება ეს ჰიბრიდული ომი, თუ გლობალური არასტაბილურობა (NATO, 2025).

მანამდე, ა/წ თებერვლის თვეში კატარმა და ნატომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში, კატარის მისიისა და სამხედრო წარმომადგენლობის გახსნის შესახებ, ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამის (Individual Partnership and Cooperation Programme, IPCP) განხორციელების ფარგლებში.

ნატოს შტაბ-ბინაში კატარის მისიის ოფისების გახსნა წარმოადგენს მხარეებს შორის დიდი ხნის განმავლობაში არსებულ განსაკუთრებულ ურთიერთობებში გადამდგარ მნიშვნელოვან ნაბიჯს, რომელიც მოიცავდა პოლიტიკურ და პრაქტიკულ თანამშრომლობას და მიაღწია კატარის სახელმწიფოსა და ნატოს შორის პარტნიორობის დონეს (Qatar MFA, 2025).

დასკვნა

Major Non-NATO Ally-ს სტატუსი არის მჭიდრო ურთიერთობების ძლიერი სიმბოლო, რომელსაც იზიარებს ამერიკის შეერთებულ შტატები ასეთ ქვეყნებთან და აჩვენებს ვაშინგტონის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას და მეგობრობას იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებზეც ეს სტატუსი ვრცელდება. ამასთანავე, მართალია MNNA-ს სტატუსი სამხედრო და ეკონ-

ომიკურ პრივილეგიებს ითვალისწინებს, ის არ ავალდებულებს აშშ-ს უზრუნველყოს უსაფრთხოება აღნიშნული სტატუსის მქონე ქვეყნისთვის.

ზოგიერთი პოლიტიკოსი სკეპტიკურად უყურებს კატარისთვის MNNA-ს სტატუსის მინიჭებას, ვინაიდან საამიროს გააჩნია მჭიდრო კავშირები ახლო აღმოსავლეთის არასახელმწიფო აქტორებთან - „ჰამასთან“, „ჰიზბალაჰთან“, „მუსლიმთა საძმოსთან“, ასევე „ტალიბანთან“, რომლებიც კონფლიქტურ ურთიერთობებში არიან აშშ/დასავლეთთან და ისრაელთან. თუმცა, აღნიშნული მდგომარეობა კატარს აძლევს საშუალებას პოზიციონირდეს, როგორც „მუდმივი შუამავალი“ და მომლაპარაკებელი ზემოხსენებულ მხარეებს შორის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში. კატარმა, ასევე, საკვანძო როლი შეასრულა აშშ-ს ჯარების უსაფრთხო ევაკუაციის საქმეში ავღანეთიდან.

ყოველივე ზემოხსენებული ხელს უწყობს კატარის თანამშრომლობის გაღრმავებას აშშ-სთან, ნატო-სთან და სტატუსის მინიჭების შემდეგ ახალ საფეხურზე გადასვლას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

Ambassador Patrick Theros (2025). Major Non-NATO Ally: What did Qatar Get in Washington? *Gulf International Forum;* Accessed [02.05.2025]:https://gulfif.org/major-non-nato-ally-what-did-qatar-get-in-washington/

Blanchard Christopher M. (2014, November 4). *Qatar - Background and U.S. Relations.* Congressional Research Service. გვ. 20; Accessed[02.05.2025]:https://sgp.fas.org/crs/mideast/RL31718.pdf

Coates Ulrichsen Kristian (2022, February 3). How Qatar emerged as the US partner of choice. *The New Arab.* Accessed [02.05. 2025]:https://english.alaraby.co.uk/analysis/how-qatar-emerged-us-partner-choice

Congresswoman Ann Wagner (2024, May 21). Golden Introduce Bill to Pressure Qatar, Evaluate Status as Major Non-NATO Ally. *Wagner House;* Accessed [02.05.2025]: https://wagner.house.gov/media-center/press-releases/wagner-golden-introduce-bill-pressure-qatar-evaluate-status-major-non

Founding of the State (2024). *Amiri Diwan.* Accessed [02.05.2025]: https://www.diwan.gov.qa/about-qatar/history-of-qatar

Gritten David, Abualouf Rushdi (2024, November 19). Hamas leaders no longer in Doha but office not permanently closed, Qatar says. *BBC News;* Accessed [02.05.2025]: https://www.bbc.com/news /articles/c86qd99nqgyo

Gosselin-Malo Elisabeth (2022, February 3). The Future of Qatar as Major Non-NATO Ally to the US. *Italian Institute for International Political Studies (ISPI),* Accessed [02.05.2025]: https:/ /www.ispionline.it/en/pubblicazione/future-qatar-major-non-nato-ally-us-33071

Kamrava M. (2017). Qatari Foreign Policy and the Exercise of Subtle Power. *International Studies Journal, vol. 14, no. 2 (54)*, ȣ3. 91-123. Accessed [02.05.2025]: https://www.isjq.ir/article_89904 _d41d8cd98f00b204e9800998ecf8427e.pdf

NATO Flagship Partnership event underway in Qatar (2025, April 8). *Supreme Allied Commander Europe (SACEUR), NATO;* Acce-

ssed[02.05.2025]: https://shape.nato.int/news-archive/2025 /nato -flagship-partnership-event-underway-in-qatar

Nawaf Al-Tamimi, Azzam Amin, Nourollah Zarrinabadi (2023). *Qatar's Nation Branding and Soft Power. Exploring the Effects on National. Identity and International Stance.* Doha Institute for Graduate Studie Springer, ȣ. 100. Accessed [02.05.2025]: https://link.springer.com/book/10.1007/978-3-031-24651-7

Paul Michael Brannagan, Richard Giulianotti (2018, September). The soft power–soft disempowerment nexus: the case of Qatar. *International Affairs, Volume 94, Issue 5*, ȣ. 1139–1157; Accessed [02.05.2025]:https://academic.oup.com/ia/article/94/5/1139/5092085

Qatar Signs Agreement to Open Its Mission Offices, Military Representation at NATO Headquarters in Brussels (2025, February 14). *Ministry of Foreign Affairs of Qatar;* Accessed [02.05.2025]: https://mofa.gov.qa/en/qatar/latest-articles/latest-news/details/1442/07/02/qatar-signs-agreement-to-open-its-mission-offices-military-representation-at-nato-headquarters-in-brussels

Qatar. The World Factbook (2024). *CIA.* Accessed [02.05.2025]: https:// www.cia.gov/the-world-factbook/countries/qatar/

Rai Al Youm (2022, March 24): Saudi Arabia turned its back on the US and joined Russia. *CMIO International*, Accessed [02.05.2025]: https://cmio.org/en/world/641810-rai-al-youm-saudi-arabia-turned-its-back-on-the-us-and-joined-russia-2

Total Population inside State of Qatar (2024, March 18). *Planning and Statistics Authority.* Accessed [02.05.2025]: https://www.psa.gov.qa/en/statistics1/Pages/default.aspx

The Reviewing Qatar's Major Non-NATO Ally Status Act (2024, May 1), *AIPAC Bill Summary*; Accessed [02.05.2025]:https://aipacorg.app.box.com/s/0wtvr5s7qwurene3tdlnlf4pcchzhose

U.S.-Qatar Relations. (2025). *U.S. Department of State.* Accessed [02.05.2025]:https://2021-2025.state.gov/countries-areas/qatar/

Рейтерович Ігор, Бедрак Вікторія (23 Листопада, 2023). Будемо згадувати часто. Яку роль відіграє Катар у російсько-українській війні, *Факти;* Accessed [02.05.2025]: https://fakty.com.ua/ua/svit/20231123-budemo-zgaduvaty-chasto-yaku-rol-vidigraye-katar-u-rosijsko-ukrayinskij-vijni/

Нур Икрам (1 февраля, 2022). Катарская партия раскрыла «украинскую авантюру» США, *Haqqin.az;* Accessed [02.05.2025]: https://haqqin.az/news/233316

Фроловский Дмитрий (11 мая, 2017). Серый кардинал Ближнего Востока. Как маленький Катар покорил большой регион. *Carnegie Endowment for International Peace.* Accessed [02.05.2025]: http://carnegie.ru/commentary/?fa=69917

Хаджич Якуб (1 февраля, 2022). Катар получит статус основного союзника США вне НАТО. *Голос Ислама*; Accessed [02.05.2025]: https://golosislama.com/news.php?id=40468

References:

Ambassador Patrick Theros (2025). Major Non-NATO Ally: What did Qatar Get in Washington? *Gulf International Forum;* Accessed [02.05.2025]: https://gulfif.org/major-non-nato-ally-what-did-qatar-get-in-washington/

Blanchard Christopher M. (2014, November 4). *Qatar - Background and U.S. Relations.* Congressional Research Service. 83. 20; Accessed[02.05.2025]:https://sgp.fas.org/crs/mideast/RL31718.pdf

Coates Ulrichsen Kristian (2022, February 3). How Qatar emerged as the US partner of choice. *The New Arab.* Accessed [02.05. 2025]:https://english.alaraby.co.uk/analysis/how-qatar-emerged-us-partner-choice

Congresswoman Ann Wagner (2024, May 21). Golden Introduce Bill to Pressure Qatar, Evaluate Status as Major Non-NATO Ally. *Wagner House;* Accessed [02.05.2025]: https://wagner.house.gov/media-center/press-releases/wagner-golden-introduce-bill-pressure-qatar-evaluate-status-major-non

Founding of the State (2024). *Amiri Diwan.* Accessed [02.05.2025]: https://www.diwan.gov.qa/about-qatar/history-of-qatar

Gritten David, Abualouf Rushdi (2024, November 19). Hamas leaders no longer in Doha but office not permanently closed, Qatar says. *BBC News;* Accessed [02.05.2025]: https://www.bbc.com/news /articles/c86qd99nqgyo

Gosselin-Malo Elisabeth (2022, February 3). The Future of Qatar as Major Non-NATO Ally to the US. *Italian Institute for*

International Political Studies (ISPI), Accessed [02.05.2025]: https://www.ispionline.it/en/pubblicazione/future-qatar-major-non-nato-ally-us-33071

Kamrava M. (2017). Qatari Foreign Policy and the Exercise of Subtle Power. *International Studies Journal, vol. 14, no. 2 (54)*, ȝȝ. 91-123. Accessed [02.05.2025]: https://www.isjq.ir/article_89904_d41d8cd98f00b204e9800998ecf8427e.pdf

NATO Flagship Partnership event underway in Qatar (2025, April 8). *Supreme Allied Commander Europe (SACEUR), NATO;* Accessed [02.05.2025]: https://shape.nato.int/news-archive/2025/nato-flagship-partnership-event-underway-in-qatar

Nawaf Al-Tamimi, Azzam Amin, Nourollah Zarrinabadi (2023). *Qatar's Nation Branding and Soft Power. Exploring the Effects on National. Identity and International Stance.* Doha Institute for Graduate Studie Springer, ȝȝ. 100. Accessed [02.05.2025]: https://link.springer.com/book/10.1007/978-3-031-24651-7

Paul Michael Brannagan, Richard Giulianotti (2018, September). The soft power–soft disempowerment nexus: the case of Qatar. *International Affairs, Volume 94, Issue 5*, ȝȝ. 1139–1157; Accessed [02.05.2025]: https://academic.oup.com/ia/article/94/5/1139/5092085

Qatar Signs Agreement to Open Its Mission Offices, Military Representation at NATO Headquarters in Brussels (2025, February 14). *Ministry of Foreign Affairs of Qatar;* Accessed [02.05.2025]: https://mofa.gov.qa/en/qatar/latest-articles/latest-news/details/1442/07/02/qatar-signs-agreement-to-open-its-mission-offices-military-representation-at-nato-headquarters-in-brussels

Qatar. The World Factbook (2024). *CIA.* Accessed [02.05.2025]: https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/qatar/

Rai Al Youm (2022, March 24): Saudi Arabia turned its back on the US and joined Russia. *CMIO International*, Accessed [02.05.2025]: https://cmio.org/en/world/641810-rai-al-youm-saudi-arabia-turned-its-back-on-the-us-and-joined-russia-2

Total Population inside State of Qatar (2024, March 18). *Planning and Statistics Authority.* Accessed [02.05.2025]: https://www.psa.gov.qa/en/statistics1/Pages/default.aspx

The Reviewing Qatar's Major Non-NATO Ally Status Act (2024, May 1), *AIPAC Bill Summary*; Accessed [02.05.2025]:https://aipacorg.app.box.com/s/0wtvr5s7qwurene3tdlnlf4pcchzhose

U.S.-Qatar Relations. (2025). *U.S. Department of State.* Accessed [02.05.2025]:https://2021-2025.state.gov/countries-areas/qatar/

Rejterovych Ihor, Bedrak Viktoriya (23 Lystopada, 2023). Budemo zhaduvaty chasto. Yaku rol" vidihraye Katar u rosijs"ko-ukrayi-ns"kij vijni, *Fakty;* Accessed [02.05.2025]: https://fakty. com. ua/ua/svit/20231123-budemo-zgaduvaty-chasto-yaku-rol-vidigraye-katar-u-rosijsko-ukrayinskij-vijni/

Nur Ikram (1 fevralja, 2022). «Katarskaja partija raskryla «ukrainskuju avantjuru» SShA», *Haqqin.az;* Accessed [02.05.2025]:https://haqqin.az/news/233316

Frolovskij Dmitrij (11 maja, 2017). Seryj kardinal Blizhnego Vostoka. Kak malen'kij Katar pokoril bol'shoj region. *Carnegie Endowment for International Peace.* Accessed [02.05.2025http://carnegie.ru/commentary/?fa=69917

Hadzhich Jakub (1 fevralja, 2022). Katar poluchit status osnovnogo sojuznika SShA vne NATO. *Golos Islama*; Accessed [02.05. 2025]: https://golosislama.com/news.php?id=40468